მეოთხედფინალები

21 მარტს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩები.

ლვოვის სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი "კარპატი" და თბილისის "დინამო". მატჩი ძალზე საინტერესო გამოდგა. მასში მრავლად იყო სახიფათო მომენტები, მაგრამ ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო მათი გამოყენება _ 0:0. ამრიგად, თბილისელებმა მეტოქის მინდორზე აიღეს ქულა, რითაც გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს. ახლა ყველაფერს გადაწყვეტს 25 მარტის განმეორებითი შეხვედრა თბილისში. აღსანიშნავია, რომ განვლილ მატჩში მინდვრიდან გაძევებულ იქნა "კარპატის" ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი გრეშჩაკი.

თბილისის "დინამომ" ლვოვში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: სტეფანია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, პეტრიაშვილი, გავაშელი, კუტივაძე, მ. მაჩაიძე, გუცაევი, გ. ნოდია, ყიფიანი (ლ. ნოდია).

"ლელო", 23 მარტი, 1972 წ.